საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სასაკლაოების, ელევატორებისა და სამაცივრე მეურნეობების გამოკვლევის ძირითადი შედეგები

2020

15.06.2021

www.geostat.ge

15.06.2021

სასაკლაოების,ელევატორებისა და სამაცივრე მეურნეობების გამოკვლევის ძირითადი შედეგები
(2020 წელი)

სასაკლაოები

2020 წელს საქართველოში 110 ერთეული ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაო ფუნქციონირებდა, მათგან 19.1 პროცენტი - ქვემო ქართლში, 16.4 პროცენტი - კახეთში, 12.7 პროცენტი - შიდა ქართლში, 12.7 პროცენტი - იმერეთში, 11.8 პროცენტი - სამეგრელო-ზემო სვანეთში მდებარეობს, ხოლო დანარჩენი 25.5 პროცენტი სხვა რეგიონებშია განთავსებული:

საქართველოში მოქმედი ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაოები რეგიონების მიხედვით, 2020 წელი



15.06.2021

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ქვეყანაში 2020 წელს მოქმედ სასაკლაოებში დღის განმავლობაში მაქსიმუმ 58 523 ერთეული პირუტყვისა და ფრინველის დაკვლა იყო შესაძლებელი (ნაკლავის შესაძლო მაქსიმალური დღიური რაოდენობა).

2020 წლის განმავლობაში სასაკლაოებში დაკლულია 288.3 ათასი სული პირუტყვი, მათ შორის 37.8 პროცენტი მსხვილფეხა, ხოლო 62.2 პროცენტი-წვრილფეხა (ცხვარი, თხა, ღორი და სხვა). გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სასაკლაოებში დაკლული ფრინველის რაოდენობა 12 005.8 ათასი ერთეულით განისაზღვრა.

სასაკლაოების მიერ 2020 წლის განმავლობაში 37 180.4 ტონა ხორცი იქნა წარმოებული (იგულისხმება დაკლული წონა, ფრინველის ხორცის ჩათვლით), საიდანაც 30.8 პროცენტი მოდის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე, 46.7 პროცენტი - ფრინველის, 21.7 პროცენტი - ღორის, 0.6 პროცენტი - ცხვრისა და თხის ხორცზე, ხოლო დანარჩენს უმნიშვნელო წილი უკავია.

2020 წლის განმავლობაში დაკლული პირუტყვიდან 1 530.4 ტონა შესყიდული იყო სასაკლაოს მიერ, საიდანაც 59.1 პროცენტი მოდის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე, ხოლო 36.4 პროცენტი ღორის ხორცზე,

მომსახურება გაეწია 27.5 ათას პირს, საიდანაც 37.2 პროცენტი შინამეურნეობების (ოჯახური მეურნეობები) სახით იყვნენ წარმოდგენილნი. სასაკლაოებში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა რაოდენობამ 906 კაცი შეადგინა.

ერთეული პირუტყვის დაკვლაზე მომსახურების საშუალო ფასი შეადგენს: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაკვლის საფასური - 26.8 ლარი, ცხვრის ან თხის - 12.8 ლარი, ხოლო ღორის - 24.3 ლარი.

სასაკლაოების უმრავლესობა (50.0 პროცენტი) სრულად არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით, 45.5 პროცენტი აღჭურვილია ნაწილობრივ, ხოლო 4.5 პროცენტი არ არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით.

სასაკლაოების 70.0 პროცენტი არ სარგებლობს სესხით, ხოლო 30.0 პროცენტს აღებული აქვს სესხი სხვადასხვა მიზნით: 48.5 პროცენტს - ძირითადი კაპიტალის შეძენისთვის, 33.3 პროცენტს საბრუნავი კაპიტალისათვის, ხოლო 18.2 პროცენტს, როგორც ძირითადი ასევე საბრუნავი კაპიტალისათვის.

15.06.2021

სამაცივრე მეურნეობები

2020 წელს საქართველოში 194 ერთეული სამაცივრე მეურნეობა ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც შიდა ქართლის რეგიონშია (55.2 პროცენტი) განთავსებული. მოქმედი სამაცივრე მეურნეობები ასევე განთავსებულია კახეთის რეგიონში (13.9 პროცენტი), ქ. თბილისში (7.2 პროცენტი), ქვემო ქართლის (6.2 პროცენტი), აჭარის (5.2 პროცენტი), სამეგრელო-ზემო სვანეთის (5.2 პროცენტი), იმერეთის (3.6 პროცენტი), გურიის (2.1 პროცენტი) და მცხეთა-მთიანეთის (1.5 პროცენტი) რეგიონებში:

საქართველოში მოქმედი სამაცივრე მეურნეობები
რეგიონების მიხედვით, 2020 წელი



2020 წლის განმავლობაში მომსახურება გაეწია 524 მომხმარებელს. მწარმოებელთა და გადამყიდველთა რაოდენობამ, რომელთაგანაც შესყიდულ იქნა პროდუქცია - 673 ერთეული შეადგინა, ხოლო სამაცივრეებში დასაქმებულთა საშუალოთვიური რაოდენობა 1 497 კაცით განისაზღვრა.

15.06.2021

2020 წლის განმავლობაში მაცივრებში შენახული (განთავსებული) იყო 308.1 ათასი ტონა პროდუქცია, მათ შორის 56.2 პროცენტი ქათმის ხორცი (გაყინულის ჩათვლით), 14.3 პროცენტი პირუტყვის ხორცი და ხორცპროდუქტები (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით), 12.6 პროცენტი ხილი და ბოსტნეული, 12.4 პროცენტი - თევზეული, 2.1 პროცენტი რძის პროდუქტები, ხოლო დანარჩენ პროდუქტებს 2.4 პროცენტი უკავია:

მაცივრებში შენახული პროდუქტების სტრუქტურა, 2020 წელი



სამაცივრე მეურნეობების მიერ შემდგომი რეალიზაციის მიზნით 2020 წლის განმავლობაში შესყიდულია 32.3 ათასი ტონა პროდუქცია. რაც შეეხება მომსახურების საფასურს - 19.7 მლნ. ლარი შეადგინა.

2020 წლის განმავლობაში სამაცივრე მეურნეობების მიერ გაყიდულია 217.7 მლნ. ლარის ღირებულების (68.0 ათასი ტონა) პროდუქცია, საიდანაც ღირებულებით გამოსახულებაში შედარებით დიდი ნაწილი (36.8პროცენტი) იყო ადგილობრივი (საკუთარი) წარმოების. ამასთან, სამაცივრეების მიერ გაყიდული ადგილობრივი (საკუთარი) პროდუქციის 64.6 პროცენტი მოდიოდა ქათმის ხორცზე. იმპორტირებული პროდუქციის მნიშვნელოვან მოცულობას ქათამის ხორცი (გაყინულის ჩათვლით) (45.9 პროცენტი), პირუტყვის ხორცი და ხორცპროდუქტები (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით) (29.5 პროცენტი) და თევზეული (10.4 პროცენტი) წარმოადგენდა.

სამაცივრეების მიერ გაყიდული პროდუქციიდან 11.9 პროცენტი უცხოურ ბაზარზე იქნა რეალიზებული, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს თევზეული, ხილი, ბოსტნეული და ქათმის ხორცი წარმოადგენდა.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, კამერების საშუალო დღიური დატვირთვა (პროცენტულად კამერების ჯამური ტევადობიდან) იანვარში შეადგენდა 61.9 პროცენტს, თებერვალში - 61.9 პროცენტს, მარტში - 67.0 პროცენტს, აპრილში - 69.5 პროცენტს, მაისში - 72.3 პროცენტს, ივნისში - 66.8 პროცენტს, ივლისში - 66.6 პროცენტს, აგვისტოში - 62.6 პროცენტს, სექტემბერში - 54.4 პროცენტს, ოქტომბერში - 61.2 პროცენტს, ნოემბერში - 62.5 პროცენტს, ხოლო დეკემბერში - 59.6 პროცენტს.

სამაცივრე მეურნეობების 53.4 პროცენტი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილია ნაწილობრივ, 36.8 პროცენტი - სრულად, ხოლო 9.8 პროცენტი საერთოდ არ არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით.

სესხით სარგებლობს სამაცივრე მეურნეობების მხოლოდ 66.3 პროცენტი. აქედან, 25.8 პროცენტს სესხი აღებული აქვს ძირითადი კაპიტალისთვის (ახლის შეძენის ან არსებულის გაუმჯობესების მიზნით), 67.2 პროცენტს საბრუნავი კაპიტალისათვის, ხოლო 7.0 პროცენტს როგორც ძირითადი, ისე საბრუნავი კაპიტალისათვის.

15.06.2021

ELEVATORS

2020 წელს საქართველოში 51 ელევატორი ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც კახეთში (43.1 პრროცენტი), ქვემო ქართლის (21.6 პროცენტი) და შიდა ქართლის (17.6 პროცენტი) რეგიონებში იყო განთავსებული. ელევატორების 7.8 პროცენტი ფუნქციონირებდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, 3.9 პროცენტი ქ.თბილისში, 3.9 პროცენტი იმერეთში და 2.0 პროცენტი გურიის რეგიონში:

საქართველოში მოქმედი ელევატორები რეგიონების მიხედვით, 2020 წელი



2020 წლის განმავლობაში მომსახურება გაეწია 43 მომხმარებელს, მწარმოებელთა და გადამყიდველთა რაოდენობამ, რომელთაგანაც შესყიდულ იქნა პროდუქცია - 247 ერთეული შეადგინა, ხოლო ელევატორებში დასაქმებულთა საშუალოთვიური რაოდენობა 932 კაცით განისაზღვრა.

2020 წლის განმავლობაში ელევატორებში შენახული (განთავსებული) იყო 487.3 ათასი ტონა პროდუქცია, რომლის 77,3 პროცენტს წარმოადგენდა ხორბალი, 8.6 პროცენტს სიმინდი, 8.3 პროცენტს სოიოს შროტი, 3.3 პროცენტს ხორბლის ფქვილი, ხოლო დანარჩენ პროდუქციას უმნიშვნელო წილი ჰქონდა:

ელევატორში შენახული პროდუქტების სტრუქტურა, 2020 წელი



2020 წლის განმავლობაში ელევატორების მიერ გაყიდულია 358.1 მლნ. ლარის ღირებულების 401.1 ათასი ტონა პროდუქცია, საიდანაც 55.4 პროცენტი იყო ადგილობრივი (საკუთარი) წარმოების.

ელევატორების მიერ პროდუქციის გადამუშავებასა და შენახვაზე გაწეულმა დანახარჯებმა - 2.5 მლნ. ლარი შეადგინა.

2020 წლის განმავლობაში ელევატორების მიერ გაყიდული იმპორტირებული პროდუქციის დიდი ნაწილი - 63,7 პროცენტი, ხორბალზე მოდიოდა.

ადგილობრივი (საკუთარი წარმოების) წარმოშობის პროდუქციაში როგორც მოცულობის, ისე ღირებულების მიხედვით ჭარბობდა ხორბლის ფქვილი (რომელზეც მოდიოდა ელევატორების მიერ გაყიდული ადგილობრივი პროდუქციის 82.4 პროცენტი) და ქატო (15.2 პროცენტი).

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ელევატორების საცავების საშუალო დღიურმა დატვირთვამ (პროცენტულად საცავების ჯამური ტევადობიდან) იანვარში შეადგენდა 56.8 პროცენტს, თებერვალში - 55.1 პროცენტს, მარტში - 58.1 პროცენტს, აპრილში - 61.1 პროცენტს, მაისში - 62.8 პროცენტს, ივნიში - 59.9 პროცენტს, ივლისში - 61.7 პროცენტს, აგვისტოში - 59.1 პროცენტს, სექტემბერში - 50.8 პროცენტს, ოქტომბერში - 59.6 პროცენტს, ნოემბერში -60.9 პროცენტს, ხოლო დეკემბერში - 58.0 პროცენტს.

ელევატორების 34.0 პროცენტი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილია სრულად, 26.0 პროცენტი - ნაწილობრივ, ხოლო 40.0 პროცენტი საერთოდ არ არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით.

სესხით სარგებლობს ელევატორების 36.0 პროცენტი. აქედან 22.2 პროცენტს სესხი აღებული აქვს ძირითადი კაპიტალისთვის (ახლის შეძენის ან არსებული გაუმჯობესების მიზნით), 66.7 პროცენტს საბრუნავი კაპიტალისათვის, ხოლო 11.1 პროცენტს როგორც ძირითადი, ისე საბრუნავი კაპიტალისათვის.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

დავით კუპატაძე, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: dkupatadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge